



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

14 თებერვალი 2024



N 21/1361

შპს „გურია ფიშ ფარმინგს“
ელ. ფოსტა: guriafishfarming@gmail.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2029 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყალწმინდაში 37 074 მ³ მოცულობის თევზსაშენი ტბორის (3 500 ტ/წელ ატლანტური ორაგულის მოშენება) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყალწმინდაში 50 000 მ³ საერთო მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარებისა და წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა-ექსპლუატაციაზე 2022 წლის 11 ივლისს გაცემულია №32 სკოპინგის დასკვნა (ბრძანება №193/ს). შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-11 მუხლის მიხედვით, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად.

რაც შეეხება წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებას, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია ხვდება გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის საზღვრებში, ხოლო სგშ-ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, თევზსაშენი მეურნეობის განვითარება უნდა მოხდეს სანიტარული დაცვის ზონების გათვალისწინებით, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მდ. სუფსის წყალდაცვით ზოლსა და შავი ზღვის სანაპირო საინჟინრო დაცვის ზონასთან თავსებადობის/დაშორების შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრიდან მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ სქემაზე დატანით;
- დაზუსტებას საჭიროებს თევზსაშენი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილ საქმიანობაზე სააგენტოს მიერ გაცემული №32 სკოპინგის დასკვნის მიხედვით, თევზსაშენი მეურნეობასა და ზღვას შორის ვიწრო ზოლად წარმოდგენილია ქვიშნარი სანაპირო, რომელიც დაცულია საერთაშორისო კანონმდებლობით (ბერნის კონვენცია, ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა) და რომელზეც თევზსაშენი მეურნეობის მოწყობა-ექსპლუატაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ზემოქმედება. აღნიშნული ინფორმაცია სკრინინგის განცხადებაში ასახული არ არის. შესაბამისად, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს აღნიშნულ ჰაბიტატზე შესაძლო ზემოქმედების რისკების შეფასების შესახებ ინფორმაცია და პრევენციის/შერბილების ღონისძიებები;
- დოკუმენტის 4.1.3 თავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, „საპროექტო ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების შემოტანა ხორციელდება ძირითადად საჭიროებიდან გამომდინარე, ხოლო

ძალიან მცირე რაოდენობის დასაწყობების შემთხვევაში, შენახვა ხდება შესაბამისი გარემოსდაცვითი წესებითა და ნორმებით მყარი საფარის მქონე იზოლირებულ ტერიტორიაზე“. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე იგეგმება 100 მ³ ან 100 მ³-ზე მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა, აღნიშნული საქმიანობა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-3 პუნქტის 3.5 ქვეპუნქტის თანახმად, საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისად, აღნიშნული პუნქტის გათვალისწინებით, დოკუმენტში უნდა დაზუსტდეს განცხადების წარმოდგენის სამართლებრივი საფუძველი და მოცემული უნდა იყოს ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხები;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ბიოგამფილტრავი (კანალიზაციის ინდივიდუალური სისტემა) დანადგარის მოწყობა. დანადგარის მუშაობის პროცესში ხდება ნარჩენის ფერმენტირება და ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური წმენდა, რომელიც 97-98%-მდე იფილტრება. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის მიხედვით, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისად, აღნიშნული პუნქტის გათვალისწინებით, დოკუმენტში უნდა დაზუსტდეს განცხადების წარმოდგენის სამართლებრივი საფუძველი და მოცემული უნდა იყოს ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში აღწერილი უნდა იყოს თევზსაშენი მეურნეობის ტექნოლოგიური სქემა/ციკლი, სადაც ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თევზების სიკვდილიანობის და მკვდარი თევზების მართვის ღონისძიებები;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს თევზსაშენი მეურნეობის ექსპლუატაციის ეტაპზე სუნის წარმოქმნისა და გავრცელების შესახებ ინფორმაცია;
- სანაპირო ზონის სტაბილურობის თვალსაზრისით, წარმოდგენილ დოკუმენტში საჭიროა დასაბუთება, რომ საპროექტო თევზსაშენი მეურნეობის კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობები არ იმყოფებიან შავი ზღვის ზვირთცემის ზონაში. განსაკუთრებით ეს ეხება ნაპირთან ახლოს განლაგებულ ნაგებობებს (წყალჩამქეცეებს), რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიონ სანაპირო ზონის მორფოდინამიკური პროცესების დესტაბილიზაცია;
- დოკუმენტის ტექსტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია (თევზსაშენი მეურნეობის გაფართოების გათვალისწინებით) ზღვიდან წყლის ამოღების და ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატების, ასევე, ამოღებული და ჩაშვებული წყლის რაოდენობების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია წყალჩამქეცე აუზებში ჩამდინარე წყლის გაწმენდის პროცესის შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების წარმოქმნის და შემდგომი მართვის შესახებ;
- დოკუმენტში აღწერილი უნდა იყოს აკვაკულტურის მეურნეობის გაფართოების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები, მათი სავარაუდო ხანგრძლივობა და გამოსაყენებელი ტექნიკა. ამასთან, მოცემული უნდა იყოს აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების პროცესში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და ექსკავირებული გრუნტის შემდგომი მართვის საკითხები;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს თევზსაშენი მეურნეობის და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების სახეების და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

